სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

17 თებერვალი 2026

N 21/1989

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობისთვის **(გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მარტყოფის ადმინისტრაციული ერთეულში 959 950 m^3 კონგლომერატის (სხვა საშენი მასალა) მოპოვება)** გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ა/წ 13 თებერვალს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია **სკრინინგის განცხადება** თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

სკრინინგის განცხადება თანდართული დოკუმენტებთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე: https://ei.gov.ge/. დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/e5d48ab4-71c5-4240-ab6a-b4ddae824cf2. გთხოვთ, სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საკითხსა და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში უზრუნველყოთ **2026 წლის 25 თებერვლის ჩათვლით** მისამართზე: დავით აღმაშენებლის გამზ. N150, 0112 თბილისი ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად ვალდებულია, უზრუნველყოს აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გიგზავნით სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს სკრინინგის განცხადებას თანდართულ დოკუმენტებთან ერთად და გთხოვთ, უზრუნველყოთ წარმოდგენილი განცხადების განთავსება თქვენი მერიის საინფორმაციო დაფაზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

დანართი: 4 (ოთხი) ფაილი

პატივისცემით,

არჩილ ადამია

სააგენტოს უფროსის მოადგილე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/1989-21-2-202602171727